

შპს ასტეჟ
ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისათვის

შპს ასტექ

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6
1. ზოგადი ნაწილი	6
2. მომზადების საფუძველი	6
3. გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა	8
4. ფულადი სახსრები.	13
5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.	13
6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები.	13
7. ძირითადი საშუალებები.	13
8. მოკლევადიანი სესხები	15
9. სავაჭრო ვალდებულებები.	15
10. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები:	
11. ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	15
12. . რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	
13. . კომერციული დანახარჯები	16
14. ადმინისტრაციული ხარჯები.	16
15. ფინანსური შემოსავალი.	16
16. ფინანსური დანახარჯები.	17
17. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები	17
18. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	17

შპს ასტექ

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს (ლარი)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდის მდგომარეობით

(1 ლარი)

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2023	31/12/2022
აქტივები		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	30,176	260, 735
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,751,571	2, 554, 751
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	190,234	2, 000
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	656,680	1, 326, 699
სხვა არამატერიალური აქტივები		1, 477
ძირითადი საშუალებები	8,185,458	2, 777, 330
სულ აქტივები	12,814,119	6, 922, 992
ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	3,438,679	1, 306, 251
საგადასახადო ვალდებულებები	476,437	319, 283
გამოუმუშავებელი შემოსავალი	5,578	2, 684
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	1,288,712	16, 896
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	1,922,064	2, 815, 708
სხვა ვალდებულებები	3,403,539	1,22, 556
სულ ვალდებულებები	10,475,009	4, 583, 378
საკუთარი კაპიტალი	2,339,110	2, 339, 614
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	12,814,119	6, 922, 992
საკუთარი		

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 25 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი -----  ----- ივანე თაბაგარი

მთ. ბუღალტერი -----  ----- სოფიკო ჩიხლაძე

თანდართული შენიშვნები მე-7 დან 18-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ასტექ

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს (ლარი)

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

(1 ლარი)

საქმიანობის შედეგები	31/12/2023	31/12/2022
ნეტო ამონაგები	26,477,063	21, 166, 216
გაყიდვების თვითღირებულება	(13,385,804)	(11, 809, 861)
საერთო მოგება	13,091,259	9, 356, 355
დასაქმებულთა ანაზღაურება	(3,984,692)	(2, 429, 458)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	(464,624)	(331, 185)
იჯარის ხარჯი	(80,526)	(51, 773)
ადმინისტრაციული	(353,566)	(140, 754)
წარმოების ხარჯი	(7,635,130)	(4, 315, 397)
მიწოდების ხარჯი	(1,316)	(234, 939)
არასაოპერაციო შემოსავალი	10,065	222, 498
საპროცენტო ხარჯი	(465,221)	(264, 152)
სულ საოპერაციო და არასაოპერაციო ხარჯები	13,081,698	7, 767, 658
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ ზარალი	(504)	1, 811, 195
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	494,179	34, 240
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	2,339,110	1845,435

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 25 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი -----  ----- ივანე თაბაგარი

მთ. ბუღალტერი -----  ----- სოფიკო ჩიხლაძე

შპს ასტექ

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს (ლარი)

თანდართული შენიშვნები მე-7 დან 18-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

(1 ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	ცვლილება	სულ
ნაშთი 1 იანვარი 2023 1,845,436	55	2,339,559	-	2,339,614
სხვა ცვლილება			(504)	
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		2,339,614		2,339,110
დივიდენდის განაწილება	-			
ნაშთი 31 დეკემბერი 2023	55		(504)	2,339,110

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2023 წლის 25 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი



ივანე თაბაგარი

მთ. ბუღალტერი



სოფიკო ჩიხლაძე

თანდართული შენიშვნები მე-7 დან 18-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

(1 ლარი)

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2023	31/12/2022
წლის მოგება	2,339,110	2,339,615
ცვლილება მარაგებში	(656,680)	(1,326,699)
ცვლილება დებიტორულ დავალიანებაში	(3,941,805)	(2,556,750)
ცვლილება კრედიტორულ დავალიანებაში	10,475,009	4,583,377
ცვლილება სხვა აქტივებში	(8,185,458)	(2,778,809)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	30,176	260,734

შპს ასტექ

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2023 წლის 25 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი



ივანე თაბაგარი

მთ. ბუღალტერი



სოფიკო ჩიხლაძე

თანდართული შენიშვნები მე-7 დან 18-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

შპს „ასტექ“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2020 წლის 31 აგვისტოს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 400293348, იურიდიული მისამართი - საქართველო, ქალაქი ოზურგეთი, ზაზა დამენიას ქუჩა N 27. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

კომპანიის ძირითადი მეწილეები არიან:

ლანა ლომაძე (პ.ნ 33001010746)-45%

მაია ნიშნიანიძე (პ.ნ.01009004657)-31%

ირაკლი კაკალაძე (პ.ნ 01608066407)-24%

კომპანიის დირექტორია ივანე თაბაგარი (პ.ნ 01008004118)

კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა: ასფალტბეტონის წარმოება, გადაზიდვის მომსახურება.

კომპანიას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი საწარმოები, არ ჰყავს მეკავშირე საწარმოები.

წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი

2020 წლის 31 აგვისტოდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო

შპს ასტექ

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

მსს ფასს-ის 35-ე მუხლის თანახმად, თუ კომპანია შესაბამის სტანდარტზე გადასვლის თარიღად ირჩევს 2023 წლის 1 იანვარს, საწარმოს მიერ წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება სულ მცირე უნდა მოიცავდეს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2023 წლის დასაწყისისთვის და დასასრულისთვის, 2023 წლის სრული შემოსავლის და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას და შესაბამის განმარტებით შენიშვნებს. ამასთან, საწარმოს შეუძლია ფულადი ნაკადების ანგარიშგების ნებაყოფლობით წარდგენა. კომპანია იყენებს აღნიშნულ შეღავათს და არ წარადგენს შესადარის ინფორმაციას და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე)

3.გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

შპს ასტეკ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

შპს ასტეკ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

მანქანა დანადგარები - 5 წელი;

ძალოვანი მოწყობილობები - 10 წელი;

ავეჯი და ინვენტარი - 5 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები - 5-10 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-7 წელი.

დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 15%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით ამორტიზდება 10%-ით;

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

შპს ასტექ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2022 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.7020 ლარი;

1 EUR=2.8844 ლარი.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6894 ლარი;

1 EUR=2.9753 ლარი.

შპს ასტექ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

4. ფულადი სახსრები.

ფული და ფულის ექვივალენტები შედგება:

	2023	2022
ნაღდი ფული ლარებში	-	-
ლარები ადგილობრივ საბანკო ანგარიშებზე	29,266	260,598
უცხოური ვალუტა ადგილობრივ ბანკებში	910	137
სულ	30,176	260,735

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

სავაჭრო მოთხოვნები შედგება:

	2023	2022
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	2,249,218	1,591,026
მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	190,234	2,000
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	1,502,353	963,725
სულ	3,941,805	2,556,751

2023 წლის ბოლოსათვის, კომპანიას სავაჭრო ვალეები არ აქვს. გადაუხდელი მოთხოვნები არის საქართველოს რეზიდენტი იურიდიული და ფიზიკური პირების წინაშე რომლის მიღებასაც კომპანის მოელის წინასწარ განსაზღვრული ვადებში.

6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები.

მარაგები წარმოდგენილია:

	2023	2022
ნედლეული და მასალები	567,103	602,679
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	89,577	724,020
სულ	656,680	1,326,699

შპს ასტექ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

7. ძირითადი საშუალებები.

ძირითადი საშუალებები შედგება:

	ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის - აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები
ბალანსი 2023 წლის 1 იანვარი	1,541,928	883,781	27,326	4,814	319,481
შემოსვლა	3,823,707	241,947	18,478	10,861	1,597,136
გასვლა		34,840			
ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბერი	5,365,635	1,090,888	45,804	15,675	1,916,617

დაგროვილი ცვეთა

ბალანსი 2023 წლის 1 იანვარი	(221,756)	(123,945)	(3,054)	(159)	(72,096)
ცვეთის ხარჯი	(232,518)	(119,986)	(6,638)	(1,702)	(103,301)
გასული ძირ საშუალებების ცვეთა		10,843			
ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბერი	(454,274)	(233,088)	(9,692)	(1,861)	(175,397)

წმინდა საბალანსო ღირებულება

ბალანსი 2023 წლის 1 იანვარი	1,763,583	1,008,560	30,380	4973	391,577
ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბერი	5,133,117	983,199	39,167	13,973	1,813,316

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

შპს ასტექ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

8. სესხები

2023 წლის ბოლოს კომპანიის სასესხო ვალდებულებები შედგება:

კონტრაგენტი	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	მოკლევადიანი	გრძელვადიანი	მოკლევადიანი	გრძელვადიანი
სს თიბისი ბანკი	9.76 %	აშშ დოლარის შესაბამისი კურსი ლარში	31.12.2023	31.12.2023	01.01.2023	01.01.2023
			1,288,712	1,922,064	16,896	2,815,708
სულ			1,288,712	1,922,064	16,896	2,815,708

9. სავაჭრო ვალდებულებები.

სავაჭრო ვალდებულებები შედგება:

	31.12.2023	01.01.2022
კრედიტორული დავალიანება	3,438,678	1,306,251
კრედიტორული დავალიანება	-	-
მიღებული ავანსები	5,578	2,684
სულ	3,444,256	1,308,935

31.12.2023 წ. მდგომარეობით, კომპანიის კრედიტორებს წარმოადგენს საქართველოს რეზიდენტი კომპანიები.

10. ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

2023 წელს, კომპანიის ამონაგები შედგება:

	2023
შემოსავალი ადგილობრივი ბაზრიდან	26,477,063
სულ	26,477,063

11 რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

შპს ასტექ**ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

2023 წელს, კომპანიის საქონლის თვითღირებულება შედგება:

	2023
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	13,385,804
სულ	13,385,804

12. კომერციული დანახარჯები

კომპანიის 2023 წლის კომერციული დანახარჯები შედგება:

	2023
მიწოდების სხვა ხარჯი	1,317
სულ	1,317

13. ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანიის 2023 წლის ადმინისტრაციული დანახარჯი შედგება:

	2023
შრომის ანაზღაურება	3,424,044
საიჯარო ქირა	57,046
კომუნალური ხარჯი	1,644
საოფისე ხარჯი	7,337
საბანკო ხარჯი	8,606
დაზღვევა	13,362
საკონსულტაციო ხარჯი	600
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	729,595
სულ :	4,424,234

14. წარმოების ხარჯები

კომპანიის 2023 წლის წარმოების დანახარჯი შედგება:

	2023
კომუნალური გადასახადები	2,693,158
მიწის იჯარის ხარჯი	23,500
წარმოების ხელფასები	567,234
სატრანსპორტო მომსახურება	1,530,207
ტექნიკის იჯარა	414,092
ცვეთა და ამორტიზაცია	464,624
რემონტის ხარჯები	649,435
სხვა საწარმოო ხარჯი-საერთო	1,934,054
სულ	8,276,304

შპს ასტექ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

15. ფინანსური შემოსავალი.

კომპანიის 2023 წლის ფინანსური შემოსავალი შედგება:

	2023
არასაოპერაციო მოგება (ძირ საშუალების რეალიზაციიდან)	4914
კურსთაშორისი შემოსავალი	5152
სულ	10,065

16. ფინანსური დანახარჯები.

კომპანიის 2023 წლის ფინანსური დანახარჯები შედგება:

	2023
საპროცენტო ხარჯები	465,221
არასაოპერაციო ზარალი (ძირ საშუალების რეალიზაცია)	23,397
გადახდილი ჯარიმა	14,129
კურსთაშორისი ხარჯი	81668
სულ	584,415

17. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

განხორციელებული ოპერაციები დირექტორთან და პარტნიორებთან:

ტრანზაქციის ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდით

ხელფასი და სხვა სარგებელი	1,691,602
სულ	1,691,602

18. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 25 სექტემბერს.

შპს ასტეკ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)